საქართველოს ეროვნულ დემოკრატიული პარტია. ფასი 2 მანეთი

კვირა, 14 დეკემბერი 1919 წ. № 224.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი ქვეყანა

რედაქცია (ღიაა 9—2 და 5—7).
საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია არ ინახავს.
მისამართი: ქუთაისი, თფილისის ქ., ფიჩხაძის სახლი. ფოსტის ადრესი: ქუთაისი ფოსტის ყუთი № 80.

კანტორა (ღიაა 9—2 და 5—7).
გაზეთის ფასი: ერთი თვით 50 მან. 3 თვით 130 მ. განცხადების ფასი: სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 3 მ. უკანასკნელზე 2 მ.
სამგლოვიარო განცხადება: საშუალო ზომისა თითოჯერ 75 მ., 12 საათის შემდეგ 100 მ.

დღეს, 14 დეკემბერს, დილის 10 საათზე საზოგადო საკრებულოს დარბაზში (საზამთრო კლუბში. ვორონცოვის ქუჩა) დანიშნულია ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის

საზოგადო კრება.

მოხსენებებს სხვა და სხვა საკითხებზე გააკეთებენ: კომიტეტის თავმჯდომარე ალ. თოოაძე, გაზ. „ჩვენი ქვეყნის“ სარედაქციო კოლეგიის წევრი ვ. წერეთელი, და საბჭოს ფრაქციის თავმჯდომარე ტრ. ჯაფარიძე. ამის შემდეგ მოხდება ქალაქის კომიტეტის წევრების არჩევნები.

ღრმათ დამწუხრებულნი: მეუღლე ქსენია დავით ლეშკაშელის ასული ხურცილავასი, დედა ნატალია, ბიძაშვილები ფუცუ და პასიკო, ბიძები ბახვა და მიხა ჩიხლაძეები, და ლუბა, ძმები აქსენტი და ალექსანდრე, ცოლისდები და ცოლისძმები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ რომ 11 ამა დეკემბერს ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა სტუდენტი ოფიცერი შტაბს-კაპიტანი

სიმონ პეტრეს ძე ხურცილავა,

დასაფლავება მოხდება 14 ამა დეკემბერს, კვირას, ქ. ქუთაისში საფიჩხიის სასაფლაოზე. გამოსვენება ნაშუადღევის 3 საათზე. ბალახვანის ქუჩა ბახვა ჩიხლაძის სახლიდან

ქუთაისის საეპარქიო მმართველობის საბჭო,

თანახმად სრულიად საქართველოს საკათალიკოზო საბჭოს წინადადებისა, ამით აცხადებს, რომ აღნიშნულ საბჭოს კანცელარიაში (არქიელის გორა) ორშაბათს 22 ამა დეკემბერს გაიყიდება

შეჯიბრებითი ვაჭრობით

მოწამეთის მონასტრის კუთვნილი სახლი, ქუთაისში (ფერმის ქუჩაზე). (3—2).

კვირას 14 დეკემბერს ვაჟთა მეორე გიმნაზიის დარბაზში დანიშნულია მომხმარებელი საზოგადოების

„მომავალის“ არაჩვეულებრივი კრება.

ვინაიდან კრება მეორეთაა დანიშნული, კანონიერად ჩაითვლება, რამდენი წევრიც არ უნდა დაესწროს.

გამგეობა.

რას ერჩიან გიორგი გუჯეჯიანს?

როგორც ვიცით, დამფუძნებელმა კრებამ სამხედრო უწყებასა და გვარდიას უფლება მიანიჭა, სამხედრო საველე სამართლის წესით გაასამართლონ, ვისაც დაუმტკიცდება, რომ მთავრობის წინააღმდეგ შეიარაღებულ აჯანყებას აწყობდა.

ვინაიდან უკანასკნელი ამბოხება ბოლშევიკებმა მოაწყვეს, არ გაგვიკვირდება, თუ რომელიმე ბოლშევიკი ანტისახელმწიფოებრივი ქადაგებისათვის საველე სამართალში მისცეს.

მაგრამ დაიჭირეს და საველე სამართლის წესით ასამართლებენ გიორგი გუჯეჯიანს, რომელსაც მხოლოდ ის დანაშაული მიუძღვის, რომ სათემო არჩევნებში ეროვნულ დემოკრატიული პარტიის მხრით მონაწილეობა მიიღო.

ჩვენ ვიცით: გიორგი გუჯეჯიანი თავდაჭერილი კაცია და არას იტყოდა რა ისეთს, რაც კანონით აღკრძალულია.

არაერთჯერ განუცხადებია ჩვენს წინაშე, ეროვნული დემოკრატია კანონიერების ნიადაგზე უნდა იდგესო.

და, რასაკვირველია, ის თავის რწმენას ასე მალე არ გამოიცვლიდა: რა-ლა დროს სამოცი წლის კაცის გამოცვლაა?!

ამისდა მიუხედავად ის დაიჭირეს და საველე სამართალში მისცეს!

და მინისტრს მის შეკითხვაზე პასუხად შეუთვალეს: „პროვოკაციას ეწეოდაო“.

მაგრამ ეს ხომ ცალიერი სიტყვებია!

გეინე ამბობდა: ისეთი გაურკვეველი მცნება, როგორც „პოლიტიკური დანაშაული“, არ არისო. ჩუმად ვიტყვი რასმე თუ ხმა-მაღლა, დივამცხიკვებ თუ დავახველებ, ყველაფერი პოლიტიკურ დანაშაულად ეჩვენებათო.

ასე იყო ძველ გერმანიაში.

კიდევ უარესი წესი იყო ძველ რუსეთში.

საკმაო იყო, ვისმე დაებეზღვებია, მეფისა და სახელმწიფოს მტერიაო და ციხეში ამოგაყოფინებდენ თავს.

და, თუ პრისტავს შენი სამართლიანი, მაგრამ გაბედული სიტყვა არ მოეწონებოდა, ოქმს შეგიდგენდა, ცილს დაგწამებდა, მთავრობას წინაღუდგაო, და ციხეში წაგაბძანებდა.

რაც წინეთ „პოლიტიკური დანაშაული“ და „მთავრობისდა წინააღმდეგობა“ იყო, იგივეა ახლა ეგრეთ წოდებული „პროვოკაცია“.

ამხანაგს რომ ჩუმად ელაპარაკებოდე თუნდა თანამედროვე ფინანსიური პოლიტიკის შესახებ, ავმა კაცმა თუ ლაპარაკს ყური მოჰკრა, პროვოკატორობას დაგწამებს.

იცის, რომ გაუვა!

მაგრამ, უბრალო საქმისათვის თუ კაცს დასჯიან, ხომ მექორეები გაბატონდებიან!

და აღარავისი სიცოცხლე და სახელი უზრუნველყოფილი აღარ იქნება!

და ჩვენ ვიტყვით: მთავრობა მოვალეა განმარტოს, რას ეწოდება „პროვოკაცია“, „მავნებელი მოღვაწეობა“ და „მთავრობის სახელის გატეხა“.

[illegible]თვის არის საჭირო, რომ, ჯ[illegible]თი, მოქალაქემ წინდაწინვე იცოდეს, რის თქმა შეუძლია და რის არა, და, მეორე, თვი[illegible]ელმა მოსამართლემ საკუთარი აზრი არ მიაჩემოს ხსენებულ სიტყვებს.

რაც შეეხება გუჯეჯიანს, ის კი დღესვე უნდა იქნეს განთავისუფლებული.

წინააღმდეგ შემთხვევაში უდანაშაულო კაცის უმანკო სისხლი ცათამდის იღაღადებს.

ჩვენი პარტიული კრება.

დღეს ქუთაისში ეროვნულ დემოკრატიული პარტიის კრება მოხდება. დღევანდელ კრებას დიდი საქმე აქვს გასაკეთებელი. მან უნდა აირჩიოს ქუთაისის სამაზრო კომიტეტი. წინეთ საგუბერნიო კომიტეტებს, ჩვენი პირველი და მეორე კონფერენციების წესდების ძალით, საგუბერნიო კონფერენცია ირჩევდა. მხოლოდ ეხლა მესამე კონფერენციის დადგენილების ძალით საგუბერნიო კომიტეტები უქმდებიან, და საქალაქო კომიტეტს, რომელიც იგივე სამაზროა, ი ჩევს ადგილობრივი კრება. დღეს არჩეული ქუთაისის სამაზრო კომიტეტი, პირველი კომიტეტი იქნება, რომელმაც ფაქტიურათ უნდა განაგოს პარტიული საქმეები, არა მარტო ქუთაისში და მის მაზრაში, არამედ მთელ დასავლეთ საქართველოში. საქართველოს ეროვნულ დემოკრატიული პარტია ლოიალური და ლეკალური პარტია არის. მას ფარული კომიტეტები არ ყოლია, რადგან პირველი ორგანიზაციული სახე ჩვენმა პარტიამ რევოლიუციის შემდეგ მიიღო. პირველი ორგანიზაციულათ ჩამოყალიბებული კომიტეტები ეროვნულმა დემოკრატიამ 1917 წელში შექმნა. მას არ ქონდა ძველი პარტიული ტრადიცია, და პარტიულ მუშაობას უცდელი წესით განაგებდა. მიუხედავათ ამისა მან მრავლათ შემოიკრიბა თვის გარშემო თანამოაზრეები. პარტია პირველი და მეორე საგუბერნიო კომიტეტების მუშაობით ერთის მხრით, და ლიდერების გაბედული და სწორი გზით. რომელიც მათ ეკავათ, ეროვნულ საბჭოში, სეიმში, პირველ პარლამენტში თუ დამფუძნებელ კრებაში—საგრძნობლათ გაიზარდა. უმთავრესი რაც ხელს უწყობდა და უწყობს ჩვენი პარტიის გაზრდას ეს ის რეალური სახელმწიფოებრივი

ღღიური.

გერმანია მოკავშირეთა მოთხოვნილებებს აკმაყოფილებს.

ლლოიდ ჯორჯმა ქვედა პალატაში ირლანდიის ავტონომიის ახალი ბილლი წარმოადგინა.

ბეტმან ჰოლვეგმა ჰოჰენცოლერების რესტავრაციის მიზნით გერმანიაში შეთქმულება მოაწყო.

გერმანიის სოციალისტური პარტიები შეერთდნენ.

ინგლისელი სოციალისტი მაკდონალდი საბჭოთა რუსეთს თანაგრძნობას უცხადებს.

წერილები:

მეთაური:—რას ერჩიან გუჯეჯიანს.

ბიკ. მუხურელი:—ჩვენი პარტიული კრება.

კვერი:—უკანონობა.

პროგრამა არის, რომელსაც ჩვენი პარტია იმ თავითვე ადგია, და რომელსაც გვერდს ვერ აუხვევს ვერც ერთი საღათ მოაზროვნე მიწის მესაკუთრე გლეხი, ქალაქის თუ სოფლის ვაჭარი თუ მუშა, და საქართველოს სახელმწიფოს განმტკიცების მოსურნე ინტელიგენტი. ამიტომ იყო რომ საგუბერნიო კომიტეტებს ცხოვრებამ ისეთი გამარჯვების გვირგვინი დაადგა თავზე, როგორიც მეორე ალაგის დაჭერა საქართველოში მომხდარ ყოველგვარ არჩევნებში იმ პარტიებს შორის, რომლებსაც ორგანიზაციული ტრადიცია რამოდენიმე ათეული წლების ქონდათ.

ეს ჩვენი პროგრამა და გეზი დღეს არჩეულ კომიტეტსაც თან ექნება.

ამ ორი წლის განმავლობაში, ქართველი მასსა კიდევ არ იყო საკმაოთ გაცნობილი ჩვენთან. მაგრამ სოციალისტების უილაჯო პოლიტიკამ აიძულა ისინი რეალური და სწორი გზა აერჩიათ. ამ გზას ხალხი თანდათან ირკვევს, და ამის გამო ჩვენი პარტიაც გიგანტურათ იზრდება. თუ პირველმა ორმა კომიტეტების მუშაობამ, ეროვნულ დემოკრატიას მეორე ადგილი მიუჩინა საქართველოში მომქმედ პარტიებს შორის, მესამე კომიტეტს ჩვენ ახლო მომავალში პირველობის ეგზამენს მოვთხოვთ. ამის ნიადაგი ჩვენ პარტიას საკმაოთ მოეპოება.

დღეს ჩვენ პროგრამით მოშივებული ხალხს საზრდო უნდა, ჩვენთან მოზღვავებულ ქართველთ პატრიოტობა უნდა, და ამას ჩვენ დღეს არჩეულ კომიტეტს მივანდობთ.

ბიკ. მუხურელი.

უკანონობა.

როგორც მკითხველი დღევანდელი გაზეთის კორესპონდენციიდან დაინახავდა (იხ. „ნიგოზეთი"), მერევის თემის ხმოსანთა ყრილობა შორაპნის სამაზრო ერობის ინსტრუქტორს ჩაუშლია.

ყრილობას დასწრებია სოციალ-დემოკრატიის 9 ხმოსანი და ეროვნულ-დემოკრატიულისა და ფედერალისტების ფრაქციებას 9 ხმოსანი.

ოპოზიციას ყრილობის გადადება მოუსურვებია, ვინაიდან ჯერ ერთი, ოპოზიციის 9 ხმოსანი და პოზიციის 9 ხმოსანი თავმჯდომარის არჩევაშიაც კი ვერ შეთანხმდებოდენ და, მეორე, ყველა ხმოსანს დროზე არ მიუღია მოწვევის ბარათი.

მაგრამ **ინსტრუქტორს** იმის ნაცვლად ფრაქციათა შორის წინასწარი შეთანხმება მოეხდინა, სოციალ-დემოკრატიული ფრაქციისათვის მხარი დაუჭირია და ყრილობის თავმჯდომარის არჩევაში მონაწილეობა მიუღია...

შემდეგ, როდესაც ოპოზიციის ხმოსნებს მისი მოქმედების წინააღმდეგ პროტესტი განუცხადებიათ და ყრილობიდან დემონსტრატიულად წასულან, ცხრა ხმოსანი დარჩენილა, თავი ყრილობად გამოუცხადებია და გამგეობა აურჩევია.

რასაკვირველია, არც ინსტრუქტორს ჰქონდა უფლება—როგორც არახმოსანს—ყრილობის თავმჯდომარის არჩევაში მონაწილეობა მიეღო და არც სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციას ჰქონდა ნება თავი სათემო ხმოსნების ყრილობათ აღიარებინა, ვინაიდან, ჯერ ერთი, ხმოსანთა ერთს ნახევარს არ აქვს უფლება მეორე ნახევარი გარეკოს; მეორე: როცა ოპოზიცია ნახევარ რაოდენობას შეადგენს, ჯერ ერთი სათემო საქმე ვერ გაკეთდება, ფრაქციებმა თუ ერთმანეთს არ დაუთმეს; და მესამე: ყრილობა კანონიერად ვერ ჩაითვლება, როცა თავმჯდომარე უკანონოდ არჩეულია.

ოპოზიციამ თავისი პროტესტი სამაზრო ერობას გადასცა და დაადგინა: ვიდრე ახალი ყრილობა მოწვეული არ იქნება, სათემო მართვა-გამგეობაში მონაწილეობა არ მიიღოს.

ამგვარად მერევის თემის საბჭოსი და გამგეობის შედგენა შეფერხდა ინსტრუქტორის უტაქტო მოქმედებისა გამო.

სასურველია, სამაზრო ერობის გამგეობა ინსტრუქტორად უბრალო აგიტატორებს კი არა, მომზადებულ პირებს აგზავნიდეს.

ინსტრუქტორი კანონის ამხსნელი და განმამარტებელი უნდა იყოს და არა დამრღვეველი და ხმოსნებსა და ხალხს კანონის და პატივისცემის მაგალითს უნდა უჩვენებდეს.

სამართლიანად ამბობს კორესპონდენტი: ყრილობა უხუცეს ხმოსანს უნდა გაეხსნა და არა ინსტრუქტორსო.

ასე წარმოობს ყოველივე ყრილობის გახსნა.

მაგალითად, დამფუძნებელი კრება პრემიერ მინისტრმა კი არ გახსნა, არამედ უხუცესმა დეპუტატმა—სილიბისტრო ჯიბლაძემ.

მაგრამ, ჰო, თუ გნებავთ, დიდი ცოდვა არ მომხდარა, ინსტრუქტორმა რომ ყრილობა გახსნა.

მაგრამ ის კი არ ეპატივება, თავმჯდომარის არჩევაში რომ მონაწილეობა მიიღო.

ყოველი კრება თავის თავმჯდომარეს თვითონვე ირჩევს.

ვინც თავმჯდომარეს ირჩევს, მას ყველა სხვა უფლებაც აქვს.

თავმჯდომარე არის პირველი თანასწორთა შორის.

მაშასადამე ყრილობის თავმჯდომარე ყრილობის წევრი უნდა იყოს.

მაშ როგორ შეუძლია ინსტრუქტორს, რომელიც ყრილობის წევრი არ არის და მაშასადამე ყრილობის მიერ განსახილველი საქმეების შესახებ არა ეკითხება რა, თავმჯდომარე აირჩიოს?!.

ვინ მისცა მას ეს უფლება?!

და ჩვენ ვფიქრობთ: თავისი უფლების გადამეტებისათვის ის სამართალში უნდა იქნეს მიცემული.

კვერი.

უკანასკნელი ცნობები.

პური საქართველოსთვის

ინგლისის დიდმა საავტომობილო საზოგადოებამ „კოსმოსმა", გადასწყვიტა საქართველოსთან მჭიდრო საფაჭრო ურთიერთობის დამყარება და ამ მიზნით პირველი დიდი გემი, 600 ათასი ტონის საქონლით დატვირთული უკვე მოადგა ფოთის ნავთსადგურს, საიდანაც ეს საქონელი კიდეც იტვირთება.

ამ სასოგადოების დირექტორმა კავკასიაში ბ-ნ გ. ბერიძემ რამოდენიმე დღის წინედ რადიო-დეპეშით აცნობა საზოგადოების მთავარ გამგეობას ლონდონში, რომ საჩქაროდ დაამზადონ იქ და გამოგზავნონ საქართველოში პურის ფქვილი.

გუშინ ლონდონის მთავარ გამგეობისაგან მიღებულ იქნა საპასუხო რადიო-დეპეშა, რომელშიც იუწყებიან რომ ქრისტეშობისთვისა და იანვარში გამოგზავნილი იქნება ფქვილის პირველი პარტია 300 ათასი ფუთის რაოდენობის.

გამგეობა ეკითხება აგრეთვე ბ-ნ ბერიძეს, საჭირო იქნება კიდევ თუ არა მომავალში ფქვილის გამოგზავნა და თუ საჭირო იქნება, რამდენი უნდა გამოიგზავნოს.

ბ-ნ ბერიძემ რადიო-დეპეშით უკვე გასცა სათანადო პასუხი.

ახალი ამბავი.

ქუთაისი.

◆ **საზოგადო კრება.** დღეს, 14 დეკემბერს, დილის 10 საათზე, საზოგადო საკრებულოს დარბაზში (საზამთრო კლუბში, ვორონცოვის ქუჩა) დანიშნულია ეროვნულ დემოკრატიული პარტიის წევრთა საზოგადო კრება. მოხსენებებს სხვა და სხვა საკითხებზე გააკეთებენ: კომიტეტის თავმჯდომარე ალ. თორაძე, გაზეთ „ჩვენი ქვეყნის" სარედაქციო კოლეგიის წევრი ვ. წერეთელი, და საბჭოს ფრაქციის თავმჯდომარე ტრ. ჯაფარიძე. ამის შემდეგ მოხდება ქალაქის კომიტეტის წევრების არჩევნები.

◆ **ლექცია.** სამშაბათს 16 დეკემბერს ბ. კ. კაპანელი წმ. ნინოს სასწავლებლის დარბაზში წაიკითხავს საჯარო ლექციას „სული და მატერია." ლექციის შინაარსი შემდეგ ნომერში იქნება მოთავსებული.

◆ **ჯარში ... ...** ქალაქის გამგეობა ... ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვარდიის შტაბის თავმჯდომარემ ღლუმი მიიღო. მისალმა ჯერ გვარდიელებს, შემდეგ რეგულიარულ ჯარის ნაწილებს, მუშებს, და ბოლოს მოსწავლეებს.

ამის შემდეგ პირველი შინაარსიანი სიტყვა წარმოსთქვა ადგილობრივმა ჯარების უფროსმა. მან მოუწოდა სახალხო გვარდიელებს და ჯარს ხელი ხელ ჩაკიდებული ძმურათ ებრძოლონ საერთო მტერს. შემდეგ წარმოსთქვეს სიტყვები; ქუთაისის ქალაქის თავის მოადგილე სერგო რობაქიძემ, მუშების წარმომადგენელმა. სოციალ დემოკრატიული პარტიის რწმუნებულმა, სოც ფედერალისტების სახელით სიტყვა წარმოსთქვა გრ. ლადიძემ.

ეროვნულ დემოკრატიული პარტიის სახელით სიტყვა წარმოსთქვა ნიკ. აბესაძემ.

ნიკ. აბესაძემ ხაზი გაუსვა, რომ რამდე სახალხო გვარდია ზეკლასიური და ზეპარტიული ორგანიზაცია არის, რამდე სახალხო გვარდია ერის ყოველ მხრივ თავისუფლებას იცავს და საქართველოს დამოუკიდებლობის განმტკიცების გზას ადგია, ეროვნული დემოკრატია მხარს დაუჭერს ამათ.

შემდეგ სიტყვები წარმოსთქვეს პროფესიონალური კავშირის რწმუნებულმა, და ბოლოს გვარდიის შტაბის თავმჯდომარემ ნიკ. ჭუმბურიძემ.

ყოველი სიტყვის შემდეგ უკრავდენ მუსიკები. სიტყვები ხუთ-ხუთი წუთით იყო განსაზღვრული.

სიტყვების გათავების შემდეგ გვარდია და ჯარი გაემგზავრენ თეთრ ხიდს გაღმა და მობრუნებისას მწყობრათ ავიდ-წამოვიდენ თავიანთ სადგომებში.

ღამე მთელი ქალაქი გაჩირაღდნებული იყო, ალაგ ალაგ ისროდენ მაშხალებს. ქუთაისის თეატრებში, ამ საღამოს დაიდგა წარმოდგენები, გვარდიელების სასარგებლოთ.

X.

ნაკვთები.

XIII

შემოსავლიანი ადგილი.

სანამ დიდი რევოლიუციის ქარი აბერავდა, სანამ რევოლიუციის წითელი სიგიჟე ყველაფერს უკუღმა ატრიალებდა, ჩვენს კურთხეულ ქვეყანაში, შემოსავლიან ადგილს მღვდლად კურთხევა წარმოადგენდა.

ჯამაგირი,
დაბადებისას სახლის კურთხევა,
ნათვლა,
ჯვრის წერა,
წესის აგება,
ალაპი,
შაბათობით კოკრები.

და ღრამა ერთმანეთს ემატებოდა.

მღვდლების მდგომარეობა უზრუნველ ყოფილი იყო.

ყველა მღვდლობას თხოულობდა.

დღეს უწმიდეს სინოდში ინახება თი თხოვნა.

ეს თხოვნა ჯერ გამოქვეყნებული არის, მაგრამ ამბობენ, რომ ის ეკუთვნის იმ დროის სახალხო მასწავლებელს, ეხლა უმაღლესი წოდების ს, დიდ ბატონს ანუ თანამედროვე ტერმინით რომა ვსთქვათ: დიდ დიპლომატს.

თხოულობდა მღვდლობას, მაგრამ ვერ მიიღო სანატრელი ადგილი, რადგანაც მას ცენზი არ ჰქონდა.

მას თურმე დიდი იმედი ჰქონდა თავისი თავისა, რომ მღვდლობას კეთილ სინდისიერათ შეასრულებდა, მაგრამ უცენზობამ ჩაუკლა მას სურვილები.

გავიდა დრო.

რევოლიუციამ საქართველოშიაც გაშალა თავისი წითელი ფრთები.

და ყველაფერი შეიცვალა.

შემოსავლიანი ადგილებიც შეიცვალა.

მღვდლების მაზანდამ დაიწია.

აიწია სახალხო მასწავლებლებისამ.

სოკოსავით გამრავლდა სახალხო სკოლები.

და ყველა მასწავლებლობას თხოულობს.

ამას წინად ერთ ერთ ერობის გამგეობაში ერთმა მღვდელმაც შეიტანა თხოვნა.

თხოულობდა სახალხო მასწავლებლის ადგილს.

და სრული დარწმუნებულიც იყო, რომ ადგილს მიიღებდა.

მაგრამ ერობის გამგეობამ თხოვნას ასეთი რეზოლიუცია წააწერა:

გამოეცხადოს მღვდელს მამა №, რომ მას არ მიეცემა მასწავლებლი ადგილი, რადგანაც მას საამისო ცენზი არ აბადია.

როდესაც მთხოვნელმა ასეთი რეზოლიუცია წაიკითხა,—ელდა ეცა და რეზოლიუციას გვერდით სიტყვები მიაწერა:—

ვემორჩილები ერობის გამგეობას, მაგრამ ვაცხადებ პრეტენზიას მინისტრობაზე, რადგანაც ამ თანამდებობას ცენზი არ სჭირდება!..

* *

საოცარი რამ არის.

მაგრამ ჯერ ცნობები არ მოგვეპოვება:—ხსენებულმა მღვდელმა მიიღო მინისტრის თანამდებობა თუ ასეთი კადნიერებისათვის გადასახლებულია ქიათურის თუ ტყიბულის მაღაროებში.

კაინი.

საბჭოთა რუსეთი და ინგლისი

ბოლშევიკების საზავო პირობები.

გაზ. „ტან“-ი სწერს:

სოციალისტური გაზეთი „დეილი ჰერალდიმ“ გამოაქვეყნა, პარლამენტის (ლონდონის) წევრის პოლკ. მელონის მიერ რუსეთიდან ჩამოტანილ საზავო პირობების ტექსტი. როგორც ვიცით, პოლკ. მელონი ამას წინად გამოვიდა პარლამენტში და მოითხოვა ზავის შეკვრა შეთანხმების სახელმწიფოებსა და რუსეთის საბჭოთა მთავრობას შორის. საზავო პირობების მთავარი დებულებები ასეთია: ომის შეწყვეტა ყოფილ რუსეთის იმპერიის ყველა ფრონტზე: მოლაპარაკების დაწყება და საამისოდ კონფერენციის მოწვევა, რომელიმე ნეიტრალურ სახელმწიფოში შემდეგი პირობების განსახილველად:

1. ყოფილ რუსეთის ტერიტორიაზე არსებული ყველა მთავრობები თავიანთვის შეინარჩუნებენ მათ მიერ დაკავებულ ტერიტორიებს.

2. ბლოკადის მოხსნა და რუსეთთან კომერციულ დამოკიდებულების აღდგენა.

3. საბჭოთა რუსეთს ეძლევა თავისუფალი სარგებლობის უფლება, ყოფილი რუსეთის ყველა პორტებით.

4. საბჭოთა რუსეთის რესპუბლიკის მოქალაქეთ ეძლევათ ყველა მოკავშირეთა და შემოერთებულ სახელმწიფოებში თავისუფლად გასვლის უფლება, იმ პირობით, რომ არ ჩაერიონ ამ სახელმწიფოების შინაურ საქმეებში.

5. რუსეთში დამყარებული საბჭოთა მთავრობა და სხვა მთავრობებიც აცხადებენ ყველა პოლიტიკურ დამნაშავეთა ამნისტიებს. ეს ამნისტია უნდა გავრცელდეს საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ მებრძოლ ჯარის კაცებზე თუ რუსეთის სხვა მთავრობებზე.

6 რუსეთიდან უნდა გაყვანილ იქნას ყველა უცხოელთა ლაშქარი და შესწყდეს უცხოელთა ყოველგვარი სამხედრო დახმარება რუსეთში დაარსებულ, რომელიმე მთავრობის მიმართ. საბჭოთა მთავრობამ და აგრეთვე საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ მთავრობებმა ერთსა და იმავე დროს უნდა დაიწყონ თავიანთ შეიარაღებულ ძალების შემცირება

7. საბჭოთა მთავრობა და აგრეთვე ყოფილ რუსეთის იმპერიაზე დამყარებული სხვა მთავრობები, ვალდებულად სთვლიან თავიანთ თავს სოლიდარულად იკისრონ პასუხის მგებლობა ყველა იმ ფინანსიურ ვალდებულებათა შესახებ, რომელიც ყოფილ რუსეთის იმპერიას მიუღია უცხოეთის სახელმწიფოებიდან და ამასთანავე ხელი მოაწერონ ამ ხელშეკრულებას;

ისეთივე პასუხისმგებლობას იკისრებს საბჭოთა მთავრობა, და რუსეთის სხვა მთავრობები უცხო სახელმწიფოთა ქვეშევრდომების მიმართ.

საბჭოთა მთავრობა მზათაა ამ საფუძვლებზე მოლაპარაკება აწარმოვოს იმ პირობით, რომ მოკავშირეთა და მათთან შეერთებულ სახელმწიფოების მხრითაც იქნება შესაფერისი წინადადება წარმოდგენილი არა უგვიანეს გიორგობისთვის 15 ისა“.

ეს დოკუმენტი თავდებია ორი ერთგვარი განცხადების სახით, რომელიც შემდეგის სიტყვებითაა გამოთქმული: „უწინარეს ყოვლისა, საბჭოთა მთავრობისაგან ნახევრადოფიციალური გარანტია იმისა, რომ ამ ორმა სახელმწიფომ გააკეთონ ყველაფერი რაც მათ შეუძლიათ, რათა საფრანგეთმა დაიცვას მოლაპარაკების პირობები. საბჭოთა მთავრობა იმედოვნებს, რომ მას არ დასჭირდება თავისი წინადადების გატანა ცენტრალ. სახელმწიფოებში შესაფერისი ცვლილების შეტანით“.

ინგლისის ზომიერი ელემენტები რუსეთის და მის ყოფილ ტერიტორიაზე შექმნილ სახელმწიფოთა შესახებ.

ინგლისის ლიბერალების გაზეთი „ტაიმს“ სწერს: „ზავის შეკვრა რუსეთში და მაშასადამე მთელს ქვეყანაში, შესაძლებელია მხოლოდ ყველა ანტი ბოლშევიკურ [illegible]ბის გაერთიანებით, [illegible]ბელი იყოს ბოლშევიკების გავლენის მოსპობა, რუსეთის ტერიტორიაზედ აღმოცენებული სახელმწიფონი ადვილად მორიგდებოდენ ერთმანეთში.

განაპირა სახელმწიფოების დამოკიდებულების ცნობით, ჩვენის აზრით, ადვილად გადიჭრება რუსეთის დავალიანების პრობლემაც; ამ სახელმწიფოთა დამოუკიდებლობის აღიარება, შესძლებას მისცემდა ინგლისს, გამოეტანა იქიდან დიდძალი პური და ნადნეულობა, რაც, მაგალითად, უკრაინაში და საქართველოში, მკვდარ კაპიტალად სდევს ამ ჟამად.

უცხოეთი

ინგლისი

დიდ-ბრიტანეთის მრეწველობის აყვავება

გაზ „დეილ ნიუ“ამ თავს იდვა ინგლისურ მრეწველობის გამოკვლევა. გაზეთმა ლანქშირს საბამბო ოლქში გაგზავნა თვისი თანამშრომელი რომელიც ასე აღწერს ამ სამრეწველო ოლქის მდგომარეობას.

„მსოფლიოს ჯერ არ უნახავს მრეწველობის ასე აყვავება, იწერება ის მანჩესტერიდან. ჩემგან აქ ნახული აჭარბებს ყოველივე წარმოდგენას. მხოლოდ ოქროს მადნების აღმოჩენა თუ შეედრება იმას, რაც ამ ჟამად ხდება ლანქშირს, როგორ მოექანება ნაკადი სიმდიდრისა; მხოლოდ კალაპოტში უნდა ჩასვა იგი.

ვიტყვით სწორად; ლანქშირს შეუძლიან თვისი ბატონობა განაცხადოს მსოფლიოზე, სანამ მსოფლიოს შეეძლოს მისი დამორჩილება. ქვეყანა ქსოვილთა ძიებაშია, არასოდეს არ ყოფილა მათი მოთხოვნილება ისე ძლიერი, როგორც ამ ჟამად. რადგან არა თუ შკაფებია ცარიელი, მხრებიც შიშველი გვაქვს.

ევროპა, აფრიკა ინდოეთი, სამხრეთი ამერიკა სასტიკად განიცდიან უქსოვილობას და მზად არიან 5-6 ჯერ მეტი მისცენ ომიანობამდე ფასის შედარებით. თუ გავიხსენებთ, რომ ლანქშირის წლიურ წარმოების ფასი აღემატებოდა 3 მილლიარდ ფრანკს, ხოლო მას შემდეგ გადიდდა 4-ჯერ, მაშინ ადვილად წარმოიდგენთ თუ რა მომავალი ელის ამ სამრეწველო არეს.

ქართული გალობა.

კვირას, 7 დეკემბერს მოხდა კრება, რომელზედაც დაარსდა „ქართული საეკლესიო გალობის მოყვარულთა წრე“.

კრებამ განიხილა და დაამტკიცა წინდაწინ შემუშავებული წესდება ამოირჩია გამგეობა ბ. დავით ოტიას ძე ნიჟარაძის თავმჯდომარეობით და შეუდგა მუშაობას.

კრება გახსნა მაღალ მეუფე მიტროპოლიტმა ნაზარ ქუთათელმა ვრცელი და ფრიად შინაარსიანი სიტყვით.

მოგვყავს მიტროპოლიტის სიტყვა დაახლოვებით:

„დღეს ჩვენ შევიკრიბეთ ამ დარბაზში არა შემთხვევით, არამედ საგანგებოდ, რომ შეერთებული ძალ ღონით გავაკეთოთ ერთი დიდი სამამულიშვილო და ჩვენ ყველასათვის სავალდებულო საქმე.

ქართველმა ერმა დააწია თუ არა თავი ასი წლის მძიმე, მის განმანად-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გურებელ რუსეთის მონობას, მხურვალეთ და ბეჯითათ შეუდგა ძრავალ საუკუნოებით მის ეროვნულ სულის და გენიის მიერ შექმნილ კულტურულ ნაშთთა განახლება—აღდგენას და ამ საფუძველზე იწყო მან თავისი სახელმწიფოებრივი ამშენებლობა და კულტურის განვითარება.

ამ შემთხვევაში სამწუხარო გამონაკლისი შეადგინა საეკლესიო ეროვნულ გალობამ, რომლის აღდგენა—აყვავებას არავინ არ შეეცადა; იმ გალობისა, რომლის გაეროვნება—განვითარებაზე დაუღალავად მუშაობდა ცხრამეტი საუკუნის განმავლობაში ხალხის ეტეტიკურ შემოქმედებითი ძალა და ენერგია. უწინ საეკლესიო გალობას დიდი საპატიო ადგილი ეკავა არა მარტო ტაძრებ—მონასტრებში, არამედ ერის ფართო ყოველმხრივ ცხოვრებაში, ჭირში და ლხინში; გამშვენებული ტკბილი და საამო ორპირი საეკლესიო გალობა გაისმოდა არა მარტო საკათედრო და ქალაქის ეკლესიებში, არამედ საქართველოს მიყრუებულ სოფლის ტაძრებშიდაც, ხოლო გულის დამატკბობელი ძილის პირები—კერძო ოჯახებში. დღეს კი ჩვენდა სასირცხოდ გალობა იმდენად დაკნინდა და მოსპობის გზაზე დადგა, რომ მას ვერსად ვერ გაიგონებთ, წარმოიდგინეთ ვერც ეპარქიის სამაგალითო და სანიმუშო საკათედრო ტაძარში, ჩვენი გალობის განიავება—გაქრობის პროცესი ადრე დაიწყო და ჩვენმა დედინაცვალმა რუსეთმა არამც თუ ის არ შეაჩერა, პირიქით კიდევ უფრო ხელი შეუწყო. დღეს თუმცა თვით ჩვენ ვართ ჩვენი თავის ბატონ-პატრონი, მაგრამ სამწუხაროთ საკათედრო ტაძარში მაინც ვერ მოვაწყვეთ ტკბილი სასიამოვნო გალობა. ეკლესიის ყოველ მოსიყვარულე შვილისათვის ეს მეტად დამაღონებელი გარემოება, შემაწუხებელია ჩემთვის—მწყემსთმთავრისათვის; დღეს, როდესაც სარწუნოება ხალხში დასუსტებულ-შერყეულია, თუ კარგი, ტკბილი და საამო გასაგონი გალობა არ მოეწყო, ტაძრებში არ შევლენ არამც თუ სარწმუნოებრივ გულ-გაგრილებულნი, არამედ ეკლესიის და სარწმუნოების მოსიყვარულე-მოტრფიალენი და თავდადებულნი. თავი და თავი მიზეზი საზოგადოთ ეკლესიებში გალობის მოუწყობლობისა ტკერძოთ ქუთაისის საკათედრო ტაძარში, რასაკვირველია, ჩვენი უსახსროობაა. ტაძრებს არაფერი აბადია და ჩვენი სოციალისტური მთავრობა საზოგადოთ ეკლესიას ყურადღებას არ აქცევს, მაშასადამე არც საეკლესიო გალობას. ამ საქმის ფეხზე დაყენებისათვის უსათუოდ საჭიროა ფართო საზოგადოებრივი ინიციატივა და დახმარება, როგორც ნივთიერი, ისე კიდევ ზნეობრივი.

აი სწორეთ ამ მეტად სიმპატიურ საქმისათვის და მის სასურველ მდგომარეობაში ჩაყენებისათვის ქუთაისის საეპარქიო საბჭომ ერთ თავის სხდომაზე გამოიტანა დადგენილება „საეკლესიო გალობის მოყვარულთა წრის“ დაარსების შესახებ, შეადგინა კომისია წესდების პროექტის დასამუშავებლად და ეს წესდება უკვე დაიბეჭდა გაზეთ „ჩვენ ქვეყანაში“. დღეს თქვენ მას წარმოგიდგენენ განსახილველად და შესასწორებლად და დასამტკიცებლად. შემდეგ ამ საქმის მოსაწყობ-გასაძღოლად, აირჩევთ გალობის აყვავების თანამგრძნობთ და და ამ ნაირად თქვენ დღეს მტკიცე საუძველს ჩაუყრით ჩვენი გალობის განახლება-აღორძინებას, ხოლო მომავალში მისი დაგვირგვინება დამოკიდებული იქნება თქვენს თანაგრძნობა-ყურადღებაზე. აკურთხოს უფალმა დასაწყისი ამ მეტად კეთილ და წმიდა საქმისა“.

საზოგადოების საყურადღებოთ.

დასავლეთ საქართველოში არსებობს ექიმთა პროფესიონალური კავშირი, რომლის წესდების ერთი მუხლი ამბობს, რომ კავშირის პრეზიდიუმის ურეკომენდაციოთ ვერც ერთი ექიმი ჯამაგირიან ადგილს ვერ დაიკავებსო. ექიმმა ი. მებურიშვილმა, რომელიც წევრია ამ კავშირისა, ქუთაისის რეალურ სასწავლებელში კავშირის ურეკომენდაციოთ დაიკავა ექიმის ადგილი და ამით წესდების ხსენებული მუხლი დაარღვია. პრეზიდიუმის ამხანაგურ რჩევას და წინადადებას ადგილის დატოვების შესახებ ის არ დაემორჩილა. საქმეში ჩაერია ხსენებული სასწავლებლის მასწავლებელია კორპორაცია, რომელმაც განათლების მინისტრს ექიმთა კავშირის შესახებ ყალბი ინფორმაცია მიაწოდა, და ამხანაგური ეთიკის უარმყოფელ ექიმ მებურიშვილს ადგილზე დარჩენა სთხოვა. ინცინდენტი ექიმთა კავშირის წლიურმა კრებამ განიხილა და მებურიშვილის თანდასწრებით შემდეგი დაადგინა: ექიმ მებურიშვილს მოეთხოვოს რეალურ სასწავლებელში ადგილის დაუყონებლივ დატოვება და მიეცეს წინადადება შემდეგში არ გამეორდეს ასეთი მაგალითი. კავშირის პრეზიდიუმმა შეატყობინოს ქუთაისის რეალური სასწავლებლის პედაგოგიურ საბჭოს, რომ თუ საჭიროება მოითხოვს, გაუგზავნიან ექიმს, ხოლო თუ პედაგოგიურმა საბჭომ კავშირის მიერ გაგზავნილი ექიმი არ მიიღო, მაშინ ადგილი გამოცხადებულ იქნება ბოიკოტს ქვეშ.“

ეს დადგენილება კრებამ მიიღო ამ წლის ორ 2 ნოემბერს. კავშირის პრეზიდიუმი ფიქრობდა, რომ ექიმი მებურიშვილი ამხანაგების კრებულის მიერ თვისი საქციელის ასე დაფასებისა შემდეგ გულის ხმაში ჩავარდებოდა და სამსახურს დასტოვებდა, მაგრამ დრო გადის და მებურიშვილი ძველებურის ჯიუტობით განაგრძობს სასწავლებელში სამსახურს, ამიტომ ექიმთა კავშირის პრეზიდიუმმა საჭიროთ სცნო პრესის საშუალებით გამოაქვეყნოს ყოველივე ეს, რომ ექიმებმაც და ფართე საზოგადოებამაც მ[illegible]ავრი დასდვან ბ. მებურიშვილს.

პრეზიდიუმი.

კორესპონდენცია.

სოფ. ნიგოზეთი. 1) დეკემბერს მიწვეულ იყვნენ სოფ. ნიგოზეთში მერევის თემის ხმოსნები გამგეობის ასარჩევათ. სამაზრო ერობის მიერ გამოგზავნილმა ინსტრუქტორმა სამწუხაროდ მიკერძება გამოიჩინა.

ეროვნულ დემოკრატიულ საარჩევნო სიაში ჯერ ირაკლი ბარათაშვილი იყო კანდიდატათ. მაგრამ შემდეგ მის ნაცვლათ სილიბისტრო გაფრინდაშვილი. მაშასადამე გაფრინდაშვილი იქნა არჩეული ხმოსნათ და დამტკიცებული. ყრილობაზედაც გაფრინდაშვილი იყო მოწვეული, მაგრამ ინსტრუქტორმა გამოიტანა ხმოსნების კანდიდატების ბიულეტენი, სადაც ბარათაშვილი ირიცხებოდა, და არა ნამდვილი ხმოსანთა სია და განაცხადა, რომ ხმოსნათ ბარათაშვილი არის და არა გაფრინდაშვილი. მიზანი ის იყო, რომ ეროვნულ დემოკრატებს ხმა დაკლებოდათ: ბარათაშვილი ნიგოზეთში არ სცხოვრობს და არც მოწვეული ყოფილა. როგორც იყო დიდი ბრძოლის შემდეგ იცვნეს გაფრინდაშვილი ხმოსნათ.

ეს ერთი ნიმუში მიკერძების.

მეორე: ინსტრუქტორმა თვითონ გახსნა ხმოსნების ყრილობის კრება, დაიკავა თავმჯდომარის ადგილი, მისცა ხმა სოციალ-დემოკრატების კანდატს, რომელიც დასახელებული იყო ყრილობის თავმჯდომარეთ, და მოუპოვა ამით სოციალ დემოკრატიულ ფრაქციას გამარჯვება.

ინსტრუქტორს ნება არ ქონდა გაეხსნა სათემო ხმოსანთა ყრილობის კრება.

მესამე: კიდევ უფრო შეუწყნარებელი და უკანონოა ის, რომ ინსტრუქტორმა მონაწილეობა მიიღო ყრილობის თავმჯდომარის არჩევნებში;

დასასრულ კიდევ უფრო არა კანონიერი იყო სოციალ დემოკრატიულ ფრაქციის მოქმედება. ეროვნულ დემოკრატიულ და ფედერალისტების ფრაქციების ხმოსნებმა ცხრა კაცმა—არ მოისურვეს უკანონოთ არჩეული თავმჯდომარის ხელმძღვანელობით მუშაობა, ამის შესახებ პროტესტი განაცხადეს, კრება უკანონოთ იცვნეს და დაიშალენ, მოითხოვეს რა ახალი ყრილობის მოწვევა.

სოციალ დემოკრატიულ ფრაქციის ცხრა ხმოსანი დარჩა, მათ ყრილობა კანონიერათ იცვნეს, განაგრძეს სხდომა და აირჩიეს გამგეობა.

ცხრა ხმოსანს არავითარ უფლება არ ქონდა აერჩია გამგეობა, როცა ყრილობას დანარჩენი ცხრა ხმოსანი დააკლდა კანონიერი მიზეზით.

ხსენებულმა ფრაქციებმა ამის შესახებ მოხსენება გაუგზავნეს შორაპნის სამაზრო ერობას და დაადგინეს. სანამ გამგეობა კანონიერად შედგენილი არ იქმნება, სათემო საქმეების გამგეობაში არავითარი მონაწილეობა არ მიიღონ.

მეთვალყურე.

წერილი რედაქციის მიმართ.

ბ-ნო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ თქვენს პატივცემულ გაზეთში მოთავსებულ ნერალ მიხაილ ალექსანდრეს ძე წინამძღვარიშვილის საპასუხოთ შემდეგი:

7 დეკემბრის № 220 გაზეთ „ჩვენი ქვეყანაში“ მოთავსებულია თქვენი წერილი, რომლის შინაარსიც სიმართლეს მოკლებულია, რადგან მე არც საქმე აღმიძრავს თქვენს წინააღმდეგ ცილის წამებაზე, არც გაზეთში გამოიქვეყნებია, არც გავმტყუნებულვარ და არც მითხოვნია თქვენთვის დანაშაულის პატიება.

თუ გეხსომებათ საქმე ასე იყო, როცა თქვენ კორძაიას გიმნაზიის მასწავლებლებს ჯამაგირი აღარ მიეცით: აღარც ანგარიში აჩვენეთ და შეწყვიტეთ მათთან ყოველგვარი მოლაპარაკება, გარეთ ეძებდით ნეიტრალურ პირს იმის დასადასტურებლათ ერგებათ თუ არა ზემოხსენებულ გიმნაზიის მასწავლებლებს ჯამაგირი მომავალ თვეებში; თუმცა ეს ნეიტრალური პირები უკვე შედიოდენ კორძაიას გიმნაზიის პედაგოგიურ საბჭოს შემადგენლობაში, როგორც ქალაქის თვითმართველობის ერობის და მშობელთა წრის წარმომადგენლები, მაშინ პედაგოგიურმა საბჭომ დაადგინა თქვენ მოქმედებაზე გვეცნობებია მთავრობისთვის და მე, როგორც გიმნაზიის გამგე, ეს დადგენილება სისრულეში მოვიყვანე, ე. ი. ოფიციალურათ მივწერე ადმინისტრაციის ინსპექტორს თანაშემწეს; მე არ მიჩივლია, პირქით საჩივარი თქვენ აღძარით ჩემზე.

25 ნოემბრის სხდომაზე, საქმე მორიგებით გავათავეთ. ჩემმა ვექილმა თ. მაჭავარიანმა განაცხადა, რომ საქმე გაუგებრობაზეა აშენებული მთავრობასთან მიწერილი ქაღალდი, რისთვისაც ბოდიშს ვიხდიო და თქვენ ამით დაკმაყოფილდით.

რაც შეეხება იმას, რომ თქვენ [illegible] რად ინტერესებს არ შეადგენდა [illegible] მი ციხეში ჩაჯდომა—ეს საკითხი ჩამაჯენდენ ციხეში თუ არა.

და ბოლოს უნდა მოგახსენო, რომ კარგს იზამდით გაზეთის საშ[illegible]ლებით გამოგექვეყნებიათ იმ. [illegible] საქმეების შესახებაც, რომლებიც თქვენ მოითხოვდით ჩემგან ფულ[illegible]ბის დაბრუნებას, ვითომდა მე მ[illegible] წამელოს ჯამაგირი, და რომლებ[illegible] გათავდნენ მომრიგებელ მოსამა[illegible]ლესთან თქვენი გამტყუნებით, [illegible] გორც საბუთებით აგრეთვე მოწ[illegible] ჩვენებით და თვით პატიმცემულ[illegible] ა. კორძაიას ახსნით.

მე, რასაც ზევით მოგახსენებთ, ყველაფერი დასაბუთებულია და [illegible] გიძლიათ იხილოთ მოსამართლის[illegible] ქმეებში. ეს პასუხი ყველა თქ[illegible] წერილებზე უკანასკნელია ჩემგან.

ქ. სოკოლოვსკ[illegible]

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგ[illegible]

ტამბა ნ. ფერაძის და ამხ. ქუთაისში, მიხაილოვის ქუჩა, გოკიელოვის სახლი.